შპს „არქიმედი“

საექსპერტო დასკვნა კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილზე

საპროექტო ობიექტი: სასტუმრო

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. N8 (ს/კ 01.13.08.001.008)

დამკვეთი: შპს "ჯი - დი დეველოპმენტი"

რუსთავი 2018

სასტუმროს კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება

დამკვეთი: შპს "ჯი-დი დეველოპმენტი"

ობიექტის დასახელება: სასტუმრო

მისამართი: ქ. თბილისი, ხვამლის ქ. N8 (ს/კ 01.13.08.001.008)

კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო ორგანიზაცია: შპს "დემე"

ექსპერტი: კონსტრუქტორი - გენადი ამბროლაძე

შპს "ჯი-დი დეველოპმენტი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში, მდებარე სასტუმროს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. იგი ითვალისწინებს არსებულ შენობაზე უკანა ფასადის მხარეს დამატებითი საევაკუაციო კიბის მოწყობას. კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია არქიტექტტურული პროექტის საფუძველზე. მისი ზომებია გეგმაში, პირველიდან მეოთხე სარტულის ჩათვლით: სიგრძე - 22,35მ., სიგანე - 12,3მ. ხოლო მეხუთედან მეათე სართულის ჩათვლით: სიგრძე - 15,2მ., სიგანე - 12,3მ. შენობა სარდაფიანია, პირველი სართულის სიმაღლეა - 3,6მ., ხოლო დანარჩენი 9 სართულის სიმაღლეა - 3,1მ. შენობა კარკასული ტიპისაა, რკინაბეტონის სვეტებითა და რიგელებით, მონოლითური გადახურვის ფილით. კედლები ძირითადათ ვიტრაჟული ტიპისაა, ხოლო უკანა მხარეს მოპირკეთებულია საფასადე ფილებით.

საპროექტო კიბის საფეხურების ზომები სტანდარტულია: სიმაღლე 0,15მ., სიგანე - 0,3მ. კიბის ძირითად კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის პროფილებილ სვეტები და ვერტიკალური კავშირები-კვადრატული მილები, კოსოურები - შველერები და ფენილი ფურცლოვანი ფოლადი (დაშტამპული) კიბის და ბაქნების მოაჯირები - კვადრატული მილები.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია მაღალ კვალიფიციურ დონეზე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი.

დასკვნა: ზემოთთქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში, „სასტუმრო ხვამლის ქუჩაზე“ პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

შპს „არქიმედი“-ს დირექტორი: გ. ამბროლაძე

კონსტრუქტორი: გ. ამბროლაძე


GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
გენადი
GENADI
გვარი / LAST NAME
ამბროლაძე
AMBROLADZE
სქესი / SEX
M
პირადი No / PERSONAL No
35001023139
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
06.01.1952
ვადის გასვლის თარიღი
DATE OF EXPIRY
10.07.2028
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
18IA53634


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თერჯოლა
TERJOLA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
10.07.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE018IA53634235001023139<<<<
5201064M2807100GEO<<<<<<<<<<<1
AMBROLADZE<<GENADI<<<<<<<<<<<<


ДИПЛОМ
Б-I № 016556
ДИПЛОМ
Б-I № 016556

ავტობიოგრაფია

მე გენადი იასონის ძე ამბროლაძე, დავიბადე თერჯოლის რაიონის სოფელ ჯოგნარში 1952 წლის 6 იანვარს. 1958 წელს შევედი და 1968 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1969 წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე და 1975 წელს დავამთავრე საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მომენიჭა მშენებელი ინჟინრის კვალიფიკაცია. 1968 წლიდან 1975 წლებში ვმუშაობდი ამიერკავკასიის №1 სამშენებლო ტრესტის სის გადამამუშავებელ კომბინატში. 1976 წლიდან დღემდე ვმუშაობ ყოფილი სპეციალური საპროექტო ინსტიტუტ "გრუზგიპრომეზში" სამშენებლო განყოფილებაში ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, წამყვანი ინჟინრის , და მთავარი კონსტრუქტორის (სპეციალისტის) თანამდებობებზე. გარდა ამისა ვარ შ.პ.ს. "არქიმედი"-ს დირექტორი. ვარ დაოჯახებული მყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

გ.ი. ამბროლაძე. ჩემს მიერ შესრულებული ზოგიერთი სამუშაოს ჩამონათვალი

1. ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები (სამმართველო, სასტუმრო, კვების ობიექტები).

2. ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.

3. ქ. სუმგაითის აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.

4. ქ. ბეკაბადის უზბეკეთის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.

5. ქ. რუსთავში შ.პ.ს. "ჯეოსტილში" სამრეწველო დანიშნულების და საყოფაცხოვრებო შენობები.

6. ქ. ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის შ.პ.ს. "ევრაზიან სტილს" ძირითადი საწარმოო კორპუსი.

7. ქ. თბილისი მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სტადიონის დამსმარე მოედნის ტრიბუნების მოწყობა. ძირითად სტადიონზე კი გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პროექტირება.

8. საქართველოს საფეხბურთო ბაზა "ბასა" -ს ტერიტორიაზე სასტუმროს და გასანათებელი შუქფარების ანძების პროექტირება.

9. ქ. თბილისი ახალი იპოდრომის მთავარი მანეჟისა და თავლების პროექტირება.

10. ქ. ლაგოდეხში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბაზაზე სასტუმროს გამაგრება-გაძლიერების პროექტის მომზადება.

11. ქ. რუსთავში შ.პ.ს. "ჯეომეტალ გრუპ"ის ფეროშენადნობის მინი ქარხანა.

12. ქ. მცხეთა შ.პ.ს. "ინვეტ ფიდი"-ს ცხოველების და ფრინველების საკვების მწარმოებელი ქარხანა.

13. ქ. რუსთავში საერთაშორისო ავტოდრომის სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირება.

14. ქ. მცხეთა წეროვანის ხილ-ბოსტნეულის შესანახი (სამაცივრე) შენობა.

15. ქ. რუსთავში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის დაპროექტება. (ძირითადი კორპუსი, სპორტული დარბაზი, საფეხბურთო მოედნები ტრიბუნებით.

16. მარტვილის რაიონში წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა.

17. რუსთავ-თბილისის ჩქაროსნული მაგისტრალისათვის ასფალტ-ბეტონის მინი ქარხანა. (ჩინური კომპანიის დაკვეთით)

18. ქ. რუსთავში შ.პ.ს. "რედკო"-ს ძირითადი საწარმოო კორპუსი და ადმინისტრაციული კორპუსი.

19. მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი შ.პ.ს. "სუფთა წყალი"-ს საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირება.

20. გარდაბნის რაიონი, სოფელ მარტყოფში შ.პ.ს. "გ.ბ. კონსალტინგი" საოფისე და ძირითადი სამრეწველო დანიშნულების ობიექტი.

21. პანკისის ხეობაში მდინარე იორზე გადასასვლელი სამანქანო ხიდის მოწყობა.

22. საკულტო და სამონატსრო დანიშნულების ობიექტების პროექტირება.

23. უამრავი ინდივიდუალური ერთბინიანი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სავაჭრო ობიექტები და სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო, მომსახურეობის მცირე ზომის შენობა ნაგებობები.

24. სარჯთარღიცხვების შედგენა



საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი. გენერალ კვინიტაძის ქ. №8-ში „სასტუმრო ხვამლის ქუჩაზე“ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, გენერალ კვინიტაძის ქ. №8-ში „სასტუმრო ხვამლის ქუჩაზე“ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს “არქიტექტურის ლაბორატორია №3”-ის მიერ (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ს. პაპაშვილი,). ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული დაწოლა - 60 კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა ზომებით 22.05 x 12.3 მ (ღერძებში), 10 სართულიანია, სართულის სიმაღლით 3,1 მეტრი. გააჩნია ერთი ძირითადი შესასვლელი (სადარბაზო) და სარდაფი.

შენობის ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სივრცითი ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი. სივრცული სიხისტე შექმნილია კედლების, სვეტების, დიაფრაგმების და სართულშუა გადახურვების ფილების (სისქით 20სმ), როგორც ერთიანი კონსტრუქციული სისტემის მდგრადობით. კიბის მარშები და საერთოდ კიბის უჯრედი მონოლითური რკინაბეტონისაა და გავლენას ახდენენ კარკასის სივრცულ მუშაობაზე. კარკასის საერთო სივრცითი სისტემის ნაწილს წარმოადგენს კიბის უჯრედში შენობის მთელ სიმაღლეზე ფოლადის მილკვადრატებისგან გათვალისწინებული ჯვარედინა კავშირები.

შენობას ორი მოპირდაპირე გვერდებიდან მჭიდროდ ესაზღვრება არსებული შენობები. ამ შენობებზე ახალი მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით პროექტით გათვალისწინებულია ქვაბულის გამაგრება ნაბურღი რკინაბეტონის ხიმინჯების ეკრანის მოწყობით.

დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე (ნაკლებად გამოფიტული არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა). გამოყენებულია ხიმინჯოვანი საძირკვლები.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების 2014 წლის ივლისში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის თანახმად საძირკვლის ფუძე (ფენა №5) ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით;

სიმკვრივე ρ^{6} =2.3 გ/სმ^3

საანგარიშო წინაღობა ცალღერძა კუმშვაზე, R_0=10000 კპა

საგების კოეფიციენტი k =100კგძ/სმ^3

პუასონის კოეფიციენტი, μ=0.25

მიწის ზედაპირიდან 4.6 მეტრის სიღრმეზე გამოვლენილია გრუნტის წყლები.

შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები "სეისმომედეგი მშენებლობა"(პნ 01.01–09) გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა ჰორიზონტალური მიმართულებით გათვალისწინებულია დრეკადი ბმების გათვალისწინებით. შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები; კონსტრუქციების დაარმატურებები; დამახასიათებელი დეტალები და კვანძები; მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები. ამდენად, დამპროეტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისში, გენერალ კვინიტაძის ქ. №8-ში „სასტუმრო ხვამლის ქუჩაზე" პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი ნუგზარ მაისურაძე

cooh@cheerful.com

577-79-33-84

24.03.2017წ.